



საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტრო
საჯარო სამართლის იურიდიული პირი
გარემოს ეროვნული სააგენტო

ქ.თბილისი, დავით აღმაშენებლის გამზ. №150 ტელ.: +995 32 243 95 03; ფაქსი: +995 32 243 95 02

ბ რ ძ ა ნ ე ბ ა

N 106/ს
02/03/2023

106-21-4-202303021224



ლენტეხის მუნიციპალიტეტში სს „ენერგო-პრო ჯორჯიას“ დასავლეთ საქართველოს ცენტრალური ფილიალის მაღალი ძაბვის საჰაერო ელექტროგადამცემი ხაზებისა და ქვესადგურების ექსპლუატაციის პირობების ცვლილებაზე სკრინინგის გადაწყვეტილების შესახებ

სს „ენერგო-პრო ჯორჯიას“ მიერ, გზმ-ის ჩატარების საჭიროების დადგენის მიზნით, სსიპ გარემოს ეროვნულ სააგენტოში წარმოდგენილია დასავლეთ საქართველოს ცენტრალური ფილიალის მაღალი ძაბვის საჰაერო ელექტროგადამცემი ხაზებისა და ქვესადგურების ექსპლუატაციის პირობების ცვლილების სკრინინგის განცხადება.

2009 წლის 8 მაისს სს „ენერგო-პრო ჯორჯიას“ დასავლეთ საქართველოს ცენტრალური ფილიალის მაღალი ძაბვის (35 კვ და მეტი) საჰაერო ელექტროგადამცემი ხაზებისა და ქვესადგურების (110 კვ და მეტი) ფუნქციონირებაზე გაიცა №47 ეკოლოგიური ექსპერტიზის დასკვნა და გარემოზე ზემოქმედების ნებართვა. აღნიშნულის საფუძველზე, 2020 წლის 17 სექტემბერს „გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსის“ 48-ე მუხლის მე-4 ნაწილის თანახმად, ზემოაღნიშნულ საქმიანობაზე გაიცა გარემოსდაცვითი გადაწყვეტილება (ბრძანება №2-830).

წარმოდგენილი დოკუმენტაციის თანახმად, 35 კვ ძაბვის საჰაერო ელექტროგადამცემი ხაზი „ჩოლური“, რომლის სიგრძე შეადგენს 15,482 მ-ს, მდებარეობს ლენტეხის მუნიციპალიტეტში. ელექტროგადამცემი ხაზი იწყება 35/10 კვ ძაბვის ქვესადგური „ლენტეხიდან“, საავტომობილო გზის გასწვრივ მიუყვება მდინარე ცხენისწყლის ხეობას და შედის „ქვესადგურ ჩოლურში“. ელექტროგადამცემი ხაზის საწყისი და ბოლო წერტილის GPS კოორდინატებია: X-313716 Y-4739664; X-325997 Y-4745675.

სკრინინგის განცხადების შესაბამისად, დაგეგმილი ექსპლუატაციის პირობების ცვლილების ფარგლებში გათვალისწინებულია არსებული №19 საყრდენის გადატანა მეწყრული ზონის გარეთ, ახალ, უსაფრთხო ადგილზე, ამორტიზებული/გამოუსადეგარი 5 არსებული საყრდენის (№5; №20; №46; №68-69) დემონტაჟი და იმავე ადგილებზე მონტაჟი

და ასევე, წაქცეული საყრდენების ადგილებზე 11 ახალი საყრდენის (№4; №6-10; №15; №17; №55; №65-66) მოწყობა.

წარმოდგენილი დოკუმენტაციის მიხედვით, №19 საყრდენის გადატანა გათვალისწინებულია არსებული ამორტიზებული საყრდენის გადასწვრივ, გზის საპირისპირო მხარეს, სადემონტაჟო საყრდენიდან დაახლოებით 35 მეტრის დაშორებით (GPS კოორდინატებია: X-316801 Y-4741192). საპროექტო საყრდენი იქნება Y220-2+9 (-4ტპ) ტიპის, რომელზეც გათვალისწინებულია სადენების ჰორიზონტალური შეკიდება ტრავერსების ზედა მესამე იარუსის დონეზე. ამ მიზნით, საყრდენის ტანზე, შუა სადენის შესაკიდებლად, მოეწყობა სათანადო ჩამაგრების კვანძი.

სკრინინგის განცხადების თანახმად, არსებული ეგზ-ის ტრასის ღერძზე, ამორტიზებული/გამოუსადეგარი საყრდენების ადგილზე დაგეგმილია ახალი 5 საყრდენის მოწყობა, კერძოდ, №5 საყრდენის ადგილზე გათვალისწინებულია АУТ-30Тр-8.5 ტიპის საყრდენის მონტაჟი, №20 სადემონტაჟო საყრდენის ადგილზე - ორჯაჭვიანი Y220-2+9 (-3ტპ) ტიპის საყრდენის მონტაჟი, №46 საყრდენის ადგილზე - ორჯაჭვა 2АУТ-60Тр(6 ტპ) ტიპის საყრდენის მონტაჟი, №68 საყრდენის ადგილზე - АУТ-30Тр ტიპის საყრდენის მონტაჟი, ხოლო №69 საყრდენის ადგილზე - АУТ-30Тр-8.5 ტიპის საყრდენის მონტაჟი.

წარმოდგენილი დოკუმენტაციის შესაბამისად, 11 წაქცეული საყრდენის ჩანაცვლების მიზნით განთავსდება ახალი საყრდენები, კერძოდ, №4 და №6 საყრდენის ადგილას დაგეგმილია АУТ-30Тр-8.5 ტიპის საყრდენის მონტაჟი, №7-9 საყრდენის ადგილას - ორჯაჭვა 2АУТ-60Тр (6 ტპ) ტიპის საყრდენის მონტაჟი, №10 და №15 საყრდენის ადგილას - АУТ-30Тр-8.5 ტიპის საყრდენის მონტაჟი, №17 საყრდენის ადგილას - 2АУТ-60Тр (6 ტპ) ტიპის საყრდენის მონტაჟი, №55 საყრდენის ადგილას ПС110-13 (-3,5მ) ტიპის საყრდენის მონტაჟი, №65 საყრდენის ადგილას - ორჯაჭვიანი Y220-2+9 (-3ტპ) ტიპის საყრდენის მონტაჟი, ხოლო №66 საყრდენის ადგილას - ორჯაჭვიანი YС220-6(-3ტპ) ტიპის საყრდენის მონტაჟი.

წარმოდგენილი დოკუმენტაციის მიხედვით, 2АУТ-60Тр ტიპის ფოლადის ორჯაჭვიანი საყრდენები გათვლილია АС 150/24 მარკის სადენებისა და С-50 მარკის გვარლის დაკიდებაზე. ПС110-13 ტიპის ფოლადის შუალედური ტიპის ვიწრობაზიანი ერთჯაჭვიანი საყრდენები გათვლილია АС 70/11 – АС 240/32 მარკის სადენებისა და ТК-9,1 (ГОСТ 3063-66) მარკის გვარლის დაკიდებაზე. YС220-6 ტიპის უნიფიცირებული სპეციალური (სამთო და ქალაქის პირობებისათვის) ორჯაჭვიანი საანკერო-კუთხური ტიპის საყრდენები გათვლილია АС 300/39 – АС 400/51 მარკის სადენებისა და С-70 მარკის გვარლის დაკიდებაზე. YС220-2; YС220-2+9 და YС220-2+14 ტიპის უნიფიცირებული სპეციალური (სამთო და ქალაქის პირობებისათვის) ორჯაჭვიანი საანკერო-კუთხური ტიპის საყრდენები გათვლილია АС 300/39 – АС 400/51 მარკის სადენებისა და С-70 მარკის გვარლის დაკიდებაზე. ყველა საყრდენის ლითონის ელემენტების მასალად გამოყენებული იქნება Вст3пс5 მარკის ფოლადი.

სკრინინგის განცხადების თანახმად, YC220-6(-3ტპ); Y220-2+9(-4ტპ); Y220-2+9(-3ტპ) და Y220-2+14(-3ტპ) ტიპის საყრდენების საძირკვლებად გამოყენებული იქნება ანაკრები და რკინა-ბეტონის სოკოსებრი ბლოკები. საყრდენების რკინაბეტონის საძირკვლების ქვეშ, ქვაბულის ფსკერის მოსასწორებლად, მოეწყობა 10-15 სმ სისქის ხრეშის/ლორღის დატკეპნილი ფენა. ქვაბული შეივსება ხრეშზე/ლორღზე დამატებული არამცენარეული (20%-მდე) გრუნტის მასით, 20-30 სმ სისქის ფენების ჩატკეპნით. 2AYT-60ტპ(6ტრ); AYT-30ტპ-8.5 და AYT-30ტპ ტიპის სპეციალური საყრდენების ქვეშ განთავსდება ფოლადის ხისტი ანკერისებრი კონსტრუქციის საძირკვლები. ПС110-13 ტიპის საყრდენის ჩამაგრება გრუნტში გათვალისწინებულია უშუალოდ ტანით 3,5 მეტრის სიღრმეზე.

სკრინინგის განცხადების მიხედვით, სამშენებლო სამუშაოების სავარაუდო ხანგრძლივობა შეადგენს 5 თვეს და დასაქმდება 145 ადამიანი. სამშენებლო სამუშაოებში გამოყენებული იქნება: ავტომწე, ტელესკოპური ამწე, ტრაქტორი, თვითმცლელი, ბორტიანი სატვირთო მანქანა, ხელის პნევმოსატკეპნი, საწნეხი აგრეგატი. სამშენებლო მოედნებზე სამშენებლო მასალების შეტანა მოხდება პერიოდულად, კომპანიის სასაწყობე მეურნეობიდან ან/და მწარმოებელი ქარხნიდან.

სკრინინგის განცხადების შესაბამისად, სამშენებლო სამუშაოების ეტაპზე მოსალოდნელია მცირე რაოდენობით საყოფაცხოვრებო, ინერტული და სახიფათო ნარჩენების წარმოქმნა. საყოფაცხოვრებო ნარჩენები შეგროვდება შესაბამის კონტეინერებში და გატანილი იქნება ადგილობრივ ნაგავსაყრელზე, ხოლო სახიფათო ნარჩენები დროებით განთავსდება სამშენებლო მოედანზე, ცალკე გამოყოფილ სათავსოში და სამუშაოების დასრულების შემდგომ, გადაეცემა შესაბამისი ნებართვის მქონე კომპანიას. სამშენებლო სამუშაოების ეტაპზე წარმოქმნილი ინერტული ნარჩენები გამოყენებული იქნება გზების ვაკისების მოსასწორებლად.

წარმოდგენილი ინფორმაციის მიხედვით, სამშენებლო სამუშაოების განხორციელებისას საპროექტო ტერიტორიაზე ემისიების სტაციონარული წყაროები გამოყენებული არ იქნება. მშენებლობის ეტაპზე ატმოსფერული ჰაერის დაბინძურებისა და ხმაურისა და ვიბრაციის გავრცელების ძირითადი წყაროები იქნება ავტოსატრანსპორტო საშუალებები და სამშენებლო ტექნიკა. სამშენებლო სამუშაოების მასშტაბის და ხანგრძლივობის გათვალისწინებით, ატმოსფერული ჰაერის ხარისხზე და ხმაურისა და ვიბრაციის გავრცელებით გამოწვეული ზემოქმედება არ იქნება მნიშვნელოვანი. ამასთან, სამშენებლო სამუშაოებისას, ატმოსფერული ჰაერის ხარისხზე და ხმაურისა და ვიბრაციის გავრცელებით გამოწვეული ზემოქმედების მაქსიმალურად შემცირების მიზნით, გატარდება შემდეგი ღონისძიებები: სატრანსპორტო საშუალებების ტექნიკური გამართულობის მუდმივი კონტროლი, სამშენებლო მასალის გადატანისას გადაადგილების სიჩქარის დაცვა, გადმოტვირთვისას მასალის დიდი სიმალიდან ჩამოყრის აკრძალვა.

სკრინინგის განცხადებაში წარმოდგენილია საპროექტო ტერიტორიაზე ჩატარებული საინჟინრო-გეოლოგიური კვლევის შედეგები. საკვლევ არეალში გაცხადებული იქნა 17

ჭაბურღილი. შესწავლის შედეგად მიღებული მონაცემების საფუძველზე დადგინდა, რომ საკვლევ ტერიტორიაზე გვხვდება 4 ძირითადი საინჟინრო-გეოლოგიური ელემენტი (სგე). სგე 1 წარმოდგენილია ნაყარი (ტექნოგენური) გრუნტით, ღორღით და ხვინჭით, ყავისფერი მონაცრისფრო ნახევრად მყარი თიხნარის 10-15%-მდე შემავსებლით. სგე 2 წარმოდგენილია საშუალო და წვრილი კენჭნარით, ნაცრისფერი-მოყავისფრო სუსტად კარბონატული, მყარი, წმინდა და საშუალო მარცვლოვანი ქვიშის, ზოგან თიხაქვიშის 10-15%-მდე შემავსებლით, თიხაქვიშის და თიხნარის თხელი შუაშრეებით და ლინზებით. სგე 3 წარმოდგენილია ღორღოვანი გრუნტით, ნაცრისფერი-მოყავისფრო კარბონატული, ნახევრად მყარი თიხაქვიშის, ზოგან თიხნარის 20-25%-მდე შემავსებლით, თიხნარის და თიხაქვიშის ლინზებით და შუაშრეებით. სგე 4 წარმოდგენილია გამოფიტული და დანაპრალიანებული, საშუალო და თხელშრეებრივი, გათიხებული, ყავისფერი ქვიშაქვით, რომლის შრეების დახრის კუთხე შეადგენს 60-70°-ს.

წარმოდგენილ საინჟინრო-გეოლოგიურ ანგარიშში სრულყოფილად არ არის ასახული ინფორმაცია საპროექტო არეალში (სამშენებლო დერეფანი) საშიში გეოლოგიური პროცესების არსებული მდგომარეობისა და მომავალში მათი შესაძლო გააქტიურების შესახებ, რაც შეიძლება უარყოფითად აისახოს ეგხ-ის ზოგიერთი საყრდენის ფუნქციონირებაზე. ამასთან, სკრინინგის განცხადების მიხედვით, საშიში გეოლოგიური პროცესების შეფასება, ფაქტობრივად, მთლიანად ეფუძნება გარემოს ეროვნული სააგენტოს ყოველწლიურ საინფორმაციო ბიულეტენს, სადაც ზოგადად განხილულია მუნიციპალიტეტის მასშტაბით არსებული გეოდინამიკური სიტუაცია და წარმოდგენილი ინფორმაცია უმეტესად არ არის შეხებაში კონკრეტულ საპროექტო დერეფანთან. გარემოს ეროვნული სააგენტოს ინფორმაციით სამშენებლო დერეფანში ფიქსირდება რამდენიმე მასშტაბური მეწყრული სხეული, შესაბამისად, მხოლოდ ზემოაღნიშნული საინფორმაციო ბიულეტენის გამოყენება არ არის საკმარისი მოსალოდნელი ბუნებრივი საფრთხეების შესაფასებლად. აღნიშნულის გათვალისწინებით, დაგეგმილი ექსპლუატაციის პირობების ცვლილების ფარგლებში გეოლოგიურ გარემოზე მოსალოდნელი ზემოქმედების საკითხი საჭიროებს დამატებით შესწავლას და შეფასებას.

წარმოდგენილი დოკუმენტაციის თანახმად, დაგეგმილი საქმიანობით ნიადაგის ნაყოფიერ ფენაზე და გრუნტზე ზემოქმედება შეიძლება მოახდინოს ნარჩენების არასწორმა მართვამ, საწვავ-საპოხი და სამშენებლო მასალების შენახვის წესების დარღვევამ, ასევე სამშენებლო ტექნიკიდან და სატრანსპორტო საშუალებებიდან საწვავი/საპოხი მასალების შემთხვევითმა დაღვრამ. მსგავსი საკითხების თავიდან აცილების მიზნით დაწესდება შესაბამისი კონტროლი. დაგეგმილი საქმიანობის ფარგლებში გათვალისწინებულია 61 მ³ ნიადაგის ნაყოფიერი ფენის მოხსნა. ნიადაგის ნაყოფიერი ფენის მოხსნის, შენახვის, გამოყენების და რეკულტივაციის სამუშაოები განხორციელდება შესაბამისი ტექნიკური რეგლამენტის პირობების დაცვით.

სკრინინგის განცხადების მიხედვით, ექსპლუატაციის პირობების ცვლილების ფარგლებში დაგეგმილი სამშენებლო სამუშაოები განხორციელდება ანთროპოგენურად სახეცვლილი ტერიტორიის ფარგლებში, არსებული გზის მიმდებარედ. პროექტის ფარგლებში

დაგეგმილია 34 ერთეული ხე-მცენარის მოჭრა (7 თხილის ბუჩქი, 8 მურყანი, 5 რცხილა, 6 აკაცია, 4 აილანთუსი, 4 შინდანწლა). ანთროპოგენური დატვირთვის გამო, საპროექტო ტერიტორიაზე ცხოველებისთვის ხელსაყრელი საბინადრო გარემო წარმოდგენილი არ არის.

წარმოდგენილი დოკუმენტაციის შესაბამისად, ექსპლუატაციის პირობების ცვლილებით გათვალისწინებული სამშენებლო სამუშაოების დაწყება იგეგმება 2022 წლის სექტემბერში, ხოლო დასრულება - 2022 წლის დეკემბერში. ამასთან, დოკუმენტში (გვ.59) რეკომენდაციის სახით მოცემულია, რომ უარყოფითი ზემოქმედების მინიმუმამდე დაყვანის მიზნით რეკომენდებულია საპროექტო სამუშაოები ჩატარდეს ზაფხულის მეორე ნახევარში და შემოდგომის დასაწყისში, როდესაც ცხოველებს დამთავრებული აქვთ გამრავლების სეზონი და ჯერ კიდევ აქვთ დრო გამოსაზამთრებლად მომზადებისთვის, შესაბამისად აღნიშნული საკითხი საჭიროებს დაზუსტებას. ამასთან, ბიომრავალფეროვნებაზე მოსალოდნელი ზემოქმედების სათანადოდ შეფასების მიზნით, აუცილებელია მომზადდეს მონიტორინგის გეგმა, სადაც ასახული უნდა იყოს ბიომრავალფეროვნების ცალკეულ კომპონენტებზე განსაკუთრებით ორნითოფაუნაზე, ფრინველების სიკვდილიანობაზე (მაგალითად როგორცაა ელექტროსადენებთან შეჯახებით სიკვდილიანობა) დაკვირვების საკითხები, ვადების, ადგილების, ხანგრძლივობის და სხვა პარამეტრების მითითებით. ასევე მოცემული უნდა იყოს დაგეგმილი შემარბილებელი ღონისძიებების ეფექტიანობაზე დაკვირვების საკითხი, საჭიროების შემთხვევაში, დამატებით პრევენციული, მათ შორის, საკომპენსაციო ღონისძიებების დაგეგმვა-განხორციელების მიზნით.

„სახელმწიფო ტყის ფონდის საზღვრების დადგენის შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2011 წლის 4 აგვისტოს №299 დადგენილებით დამტკიცებული სახელმწიფო ტყის ფონდის საზღვრების მიხედვით, საპროექტო ტერიტორიის ნაწილი (44 138 მ²) ხვდება სსიპ ეროვნული სატყეო სააგენტოს მართვას დაქვემდებარებულ სახელმწიფო ტყეში (ლენტეხის სატყეო უბნის ჩოლურის სატყეოში, კვარტალი №23;24;46;48;49;50;51;56 და ლენტეხის სატყეოში, კვარტალი №35;37;38;39;40;43). ამასთან, დასაზუსტებელია ინფორმაცია ტყის სტატუსის შეწყვეტის/განსაკუთრებული დანიშნულებით ტყით სპეციალური სარგებლობის შესახებ.

„გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსის“ მე-7 მუხლის მე-5 ნაწილის შესაბამისად, სკრინინგის განცხადება გამოქვეყნდა სააგენტოს ოფიციალურ ვებგვერდზე და გადაეგზავნა ლენტეხის მუნიციპალიტეტის მერიას, საინფორმაციო დაფაზე განთავსების მიზნით. ადმინისტრაციული წარმოების ეტაპზე, საზოგადოების მხრიდან აღნიშნულ საქმიანობასთან დაკავშირებით წერილობითი შენიშვნები და მოსაზრებები სააგენტოში არ ყოფილა წარმოდგენილი.

სკრინინგის განცხადების შესწავლისა და მოსალოდნელი ზემოქმედების შეფასების შედეგად დადგინდა, რომ დაგეგმილი ექსპლუატაციის პირობების ცვლილებამ შესაძლოა მოახდინოს მნიშვნელოვანი ზემოქმედება გარემოს სხვადასხვა კომპონენტებზე, რაც

საჭიროებს დეტალურ შეფასებასა და საჭიროების შემთხვევაში სათანადო შემარბილებელი ღონისძიებების დაგეგმვას, განსაკუთრებით საშიში გეოლოგიური პროცესების არსებული მდგომარეობისა და მომავალში მათი შესაძლო გააქტიურების კუთხით.

ზემოაღნიშნული კრიტერიუმების გათვალისწინებით, „გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსის“ მე-5 მუხლის მე-12 ნაწილისა და ამავე კოდექსის მე-7 მუხლის მე-6 ნაწილის საფუძველზე,

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ:

1. მიღებულ იქნეს სკრინინგის გადაწყვეტილება, რომ ლენტეხის მუნიციპალიტეტში სს „ენერგო-პრო ჯორჯიას“ დასავლეთ საქართველოს ცენტრალური ფილიალის მაღალი ძაბვის საჰაერო ელექტროგადამცემი ხაზებისა და ქვესადგურების ექსპლუატაციის პირობების ცვლილება **დაექვემდებაროს** გარემოზე ზემოქმედების შეფასებას;
2. სს „ენერგო-პრო ჯორჯია“ ვალდებულია „გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსის“ მე-8 მუხლის შესაბამისად, უზრუნველყოს სკოპინგის პროცედურის გავლა;
3. ბრძანება დაუყოვნებლივ გაეგზავნოს სს „ენერგო-პრო ჯორჯიას“;
4. ბრძანება ძალაში შევიდეს სს „ენერგო-პრო ჯორჯიას“ მიერ ამ ბრძანების გაცნობისთანავე;
5. სკრინინგის გადაწყვეტილების გაცემიდან 5 დღის ვადაში აღნიშნული გადაწყვეტილება განთავსდეს სააგენტოს ოფიციალურ ვებგვერდზე და ლენტეხის მუნიციპალიტეტის აღმასრულებელი ან/და წარმომადგენლობითი ორგანოების საინფორმაციო დაფაზე;
6. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (თბილისი, დ. აღმაშენებლის ხეივანი, მე-12 კმ. №6) მხარის მიერ მისი ოფიციალური წესით გაცნობის დღიდან ერთი თვის ვადაში.

თამარ ფიცხელაური



სააგენტოს უფროსი

სსიპ გარემოს ეროვნული სააგენტო